

საქართველოს კანონი  
„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №1-2(33-34/7), 22 იანვარი, 1997, გვ. 24) XVI თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XVI გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სახელმწიფო რეგულირება“

„მუხლი 57. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის სახელმწიფო რეაგირების ზოგადი დებულებანი

1. სამინისტრო უზრუნველყოფს გარემოს დაცვის სფეროში ჩადენილი დანაშაულის გამოვლენასა და შესაბამისი რეაგირების ზომების გატარებას.

2. სამინისტრო გარემოს დაცვის სფეროში გამოვლენილ სისხლის სამართლებრივ დანაშაულებებზე რეაგირებას უზრუნველყოფს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგამოძიებო დეპარტამენტის (შემდგომში – საგამოძიებო დეპარტამენტი) მეშვეობით, რომელიც ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლას, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, სამინისტროს დებულების, საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების, და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

3. პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის სფეროში ჩადენილი დანაშაულისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ამასთან პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს დანაშაულის ჩამდენს გარემოზე მიყენებული ზიანის დადგენილი ოდენობითა და წესით ანაზღაურებისაგან.“

მუხლი 57<sup>1</sup>. საგამოძიებო დეპარტამენტის მოსამსახურეების სამართლებრივი სტატუსი, საგამოძიებო დეპარტამენტში მიღებისა და სამსახურის გავლის ზოგადი წესები, მატერიალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის გარანტიები

1. საგამოძიებო დეპარტამენტში იმ თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშნისა და სამსახურის გავლის წესი, რომლის ფუნქციებშიც შედის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ან სისხლის სამართლის საქმის გამოძიება განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

2. საგამოძიებო დეპარტამენტის მოსამსახურე არის საჯარო მოსამსახურე, რომელზედაც ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები. საგამოძიებო დეპარტამენტის მოსამსახურის დამატებით ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ დაცვის გარანტიებს ადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

3. საგამოძიებო დეპარტამენტის მოსამსახურეს უფლება აქვს გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, ფიზიკური იძულებისა და სპეციალური

საშუალებები პოლიციის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

## მუხლი 2

ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ გამოიცეს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) „საგამოძიებო დეპარტამენტის შეიარაღებაში არსებული სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

ბ) „საგამოძიებო დეპარტამენტის ლოგოს, სპეციალური ტანსაცმელის (უნიფორმა), სამსახურებრივი პირადობის მოწმობის, სამკერდე ნიშანის, ლუქის, ნიშნების დამტკიცების შესახებ“.

გ) „საგამოძიებო დეპარტამენტის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

დ) „საგამოძიებო დეპარტამენტის მოსამსახურის დამატებითი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების დამტკიცების შესახებ“.

## მუხლი 3

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი